რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 14 მარტი 1918 წ.

# ჩვენი ბრძოლა

ყოველდღიური გაზეთი.

№ 6

ფასი 15 კ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე. ფული, კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Воронцовская ул., „Лампари“—Михаилу Медзмаріашвили для газ. „Чвени Брдзола“. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კაპეიკი.

ცალკე ნომერი ყველგან 15 კაპ.

ორგანო დასავლეთ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (ბოლშევიკების).

8 მარტიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური გაზეთი

„ჩვენი ბრძოლა“.

ხელის მოწერის პირობები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი წლით | 40 მ. | ორი თვით | 6 მ. 50 კ. |
| ექვსი თვით | 20 მ. | ერთი თვით | 3 მ. 50 კ. |
| სამი თვით | 10 მ. | ცალკე ნომერი | 15 კ. |

მისამართი: Кутаисъ, Воронцовская ул., „Лампари“—Михаилу Медзмаріашвили для газеты „Чвени Брдзола“.

## რედაქციისაგან.

**ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! გაზეთი „ჩვენი ბრძოლა“ საკუთარი თქვენი ორგანოა. თითოეული პარტიული ორგანიზაცია და ყველა შეგნებული მუშა და გლეხი ვალდებული არიან „ჩვენი ბრძოლის“ რედაქციასთან მუდმივი და განუწყვეტელი კავშირი იქონიონ და მას ყოველნაირათ დაეხმარონ. ყოველივე თქვენი შენიშვნა, ყოველივე თქვენ მიერ მოწერილი ამბავი ანუ კორესპონდენცია მუშების და გლეხების ცხოვრებიდან დიდი ყურადღებით იქნება მიღებული და გამოქვეყნებული.**

## საბჭოების ყრილობის აუცილებლობა.

მთელი წლის დამღუპველ პოლიტიკამ ქვეყანა და რევოლიუცია ჩვენში საფრთხეში ჩააგდო და საბედისწერო დღეს მიგვაახლოვა. როცა რევოლიუცია იყინება, ერთ ალაგას ჩერდება, რეაქცია აუცილებელი ხდება. რევოლიუციონურ დროს დიდი ხნით გაჩერება შეუძლებელია — ან წინ, ან უკან. ჩვენ კი მთელი წელიწადი გაშეშებული ვიყავით და რევოლიუციონური საქმე რეზოლიუციებად შევცვალეთ. არც ერთ ხალხს არ უცდია რევოლიუციის ნაყოფისათვის ერთი წლის განძავლობაში, ჩვენ კი მეორე წელიწადია რეზოლიუციების წერასა და გადაწერაში ვკარგავთ დაუფასებელ დროს. ხალხს გული აუცრუვდა რეზოლიუციაზე, ის თითონ ინძრევა, გამოსავალს ეძებს და რაღა თქმა უნდა ტორტმანობს, ხშირად ვერ დგამს ბეჯითად ნაბიჯს, უხვევს სწორი გზიდან და ე. წ. ანარქიის თხრილში გადუცდება ხოლმე ფეხი. და თუ ასე მოდის ქართველ გლეხობას, რომელიც თავის პოლიტიკურ შეგნებით შედარებით მაღლა დგას, რაღას უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი სომეხ-თათართა გლეხობის ამოძრავება? მათაც დიდი მოთმინება გამოიჩინეს, მთელი წელიწადი იცავდენ წესიერებას რევოლიუციის ნაყოფის იმედით, მაგრამ მწიფეს მაგიერ მათ ისევ კბილის მომკვეთი წინანდელი მკვახე სინამდვილე დაურჩათ ხელში. და ვისთვის უნდა იყოს მოულოდნელი მათი უიმედობა და ისევ ოსმალეთისკენ თვალის დაჭერა. გარეშე მტერი იმდენათ არ იქნებოდა და არის კიდეც საშიში, რამდენათ ეს უგუნებობა შიგნით, თათარ გლეხობის რევოლიუციონურ გრძნობის განელება. რევოლიუციის დასაწყისშივე, 4 მარიობისთვის ღამეს საფრანგეთის გლეხობა გათავისუფლდა ბორკილებისაგან, ფეოდალური წყობილების ტვირთი მოიშორია და მაინც შეიძინა. ასეთ გლეხობამ რევოლიუციონური საფრანგეთის დაიცვა მთელი ევროპის რეაქციონერების შემოსევისაგან და მთელს ევროპაში მოჰფინა რევოლიუციის იდეები, დალეწა ტასტები და უკვდავჰყო მარსელიოზის ცეცხლის მფრქვეველი სიტყვები, იმ მარსელიეზისა, რომელიც ჩვენში საყველ პურო „მრავალ ჟამიერ“-ის და „დელიდელას“ მაგიერობას წევს. საბედისწერო დღე დადგა ჩვენი ქვეყნისა და რევოლიუციისათვის, გარეშე მტერი რეაქციის მოციქულათ გვევლინება, მაგრამ საშიშროება თვით გარეშე მტრის შემოსევაში კი არაა მარტო, არამედ შინაური ცხოვრების მოუწყობლობაში ამ მოუწყობლობაშია ჩვენი სისუსტე, თორემ ოსმალების ურდოების შეჩერებას თავისუფალი და რევოლიუციით ზურგ გამაგრებული ხალხი შესძლებდა. გარეგნული წესიერება საქიროა, მაგრამ საკითხავი ისაა — კომისარების მარტო სავალდებულო დადგენილება ამყარებს ამ წესიერებას, თუ ხალხის რევოლიუციონური უფლებების განხორციელება და მით რევოლიუციის ნიადაგის გამაგრება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი. და ამიტომ უიმედობას ადგილი არ უნდა ქონდეს, სასოწარკვეთილება უნდა ვაგდოთ და ქვეყნის, რევოლიუციის დაცვა გარეშე კონტრ-რევოლიუციის შემოსევისაგან უნდა დავუკავშიროთ რევოლიუციის გამარჯვებას შინაგან ფრონტზე. და ნუ თუ ასეთ დროს, როცა გერმანიის იმპერიალიზმის დამქაშის მახვილის შემყურე, ამიერ-კავკასიის გლეხობა და მუშათა კლასი ზევიდან უნდა ღებულობდეს განკარგულებებს და ბოლოს გადამჭრელ დადგენილებებს, და არა თითონ, საბჭოების სიეზდზე იმუშავებდეს ქვეყნის და რევოლიუციის დაცვის ზომებს. მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების სასწრაფო ყრილობაა მიუცილებლად საჭირო, ამ სიეზდმა გადასჭრას უდიდესი საკითხები ქვეყნისა და რევოლიუციისა, ომის და ზავის. ტყუილია, ვითომ ამ ხანად მუშაკები ადგილობრივად არიან საჭირო და მათი მოცდენა ზიანს მოუტანს საქმესო. თუ როდისმე საჭირო რევოლიუციონურ დემოკრატიის ყრილობა, ახლა სწორედ. სიეზდის დაყოვნება შეუძლებელია.

„გაიმარჯვებდე ამითა“!

## პრესის მიმოხილვა.

„ხელი ხელსა ბანსო, ნათქვამია. ოსმალეთის იმპერიალისტებს ამიერ-კავკასიის დაპყრობა სურთ ხოლო ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ თათრების გაბატონებულ კლასებს საკუთარ ხალხის დამორჩილება სწადიათ. (ხაზგასმული ყველგან ჩვენია) ოსმალეთს იმდენი თავისუფალი ჯარი არა ყავს, რომ ამიერ-კავკასია დაიპყრას, აგრეთვე ბეგ-ალაღარებსაც საკუთარის ძალით არ შეუძლიათ გლეხთა მოძრაობა ჩააქრონ და გლეხები უმიწა-წყლოთ დასტოვონ და ამიტომ მე რდება ის, რაც საფრანგეთში მოხდა დიდი რევოლიუციის დროს: თავადებმა და დიდებულებმა გარეშე მტრები მოიწვიეს საფრანგეთის ხალხის დასათრგუნავათ. აქაური დიდებულებიც ოსმალეთს ეპატიჟებიან ამიერ კავკასიის დასაპყრობათ. საფრანგეთში მეფე ლუი მეთექვსმეტე ხალხს ერთგულებას ეფიცებოდა და ამავე დროს მალულათ, გადაცმული აპირებდა საზღვარ გარეთ გაპარვას და უცხო მტრების შემოყვანას. მუსულმანების და მათთან სხვა ერების მემამულეებიც გადაუდგნენ სხვათა ხალხს; ზოგი იმათგანი გარეგნულათ მაწყობს ფუფუნებით ჩამორთმევას და გლეხებზე გადაცემასაც კი უჭერს მხარს და იმავე დროს საიდუმლოთ რეალურ ძალას ადგენს და გლეხების სისხლში ჩასახრჩობათ ემზადება.“

მკითხველო! სად ამოიკითხავს წინეთ ასეთი რამეები, ან სად გაგიგონია? რასაკვირველია ჩვენს, ბოლშევიკების გაზეთებში და ბოლშევიკების კრება-მიტინგებზე. ახლაც გეგონება, რომ ეს გრძელი ამონაწერი რომელიმე (ჯხრამთას იქით გამომავალ ბოლშევიკურ გაზეთიდან ამოღებულიაო. მაგრამ სასტიკათ სცდები. ეს სიტყვები ამოღებულია გაზ. „ერთობის“ მეთაურიდან, იმ გაზეთისა, რომელმაც მთელი თავისი სიჭაბუკე და ვაჟ-კაცობა ბეგებთან და ალალარებთან კოალიციის შეკვრას და განმტკიცებას შეალია, იმავე დროს კი ჩვენ სწორედ, სიტყვა სიტყვით ასეთი დასჯისებისათვის კონტრ-რევოლიუციონერების და ქვეყნის დამღუპველების სახელით გვნათლავდა, რა პირით შეხვდებიან ახლა მენშევიკები გეგეჭკორის მეთაურობით სეიმშითუ კომისარიატში თავიანთ კოლეგებს, იმ ბეგ-ალალარებს, რომლებსაც თითონ მისთავაზენ მინისტრების პორტფელები, და რომლებიც თურმე ოსმალეთის შემოსევას აწყობენ, რომ ამიერ-კავკასიაც დაიპყრობიონ და საკუთარი გლეხობაც სისხლში ჩაახრჩონ?

კავშირი თათრის გლეხობასთან და არა მის მოსისხლე მტრებთან-ხანებთან და ბეგებთან, მთელი წელიწადი ვამტკიცებდით ჩვენ. დააინტერესეთ თათრის და სხვა ერის გლეხობა რევოლიუციით, შეებრძოლეთ მის მტრებს; თქვენ კი გულზე ეკონებოდით სწორედ ამ ხანებს და ბეგებს. მათგან ოსმალეთის მოპატიჟება მიიღეთ პასუხად, თათრის გლეხობაც ჩამოაშორეთ რევოლიუციას, მისთვის სულ ერთია — მის მოსისხლე მტერს ვინ დაუმეგობრდება — კავკასიის „რევოლიუციის“ ფაშები, თუ ოსმალეთის წმინდა წყლის ფაშები. ამიტომ ისიც ოსმალეთისკენ გაიყურება ახლა. ტყვილა იმედოვნებთ, ვითომ

„ყოველი მაგალითი მიბაძვას იწვევს მეტადრე მაშინ, როცა ამისთვის თვით ცხოვრებაში ნიადაგი მომზადებულია. როცა ქართველმა

გლეხმა უკვე მიიღო მიწა, შეუძლებელია მუსულმანი გლეხი გულზე ხელებ-დაკრეფილი იჯდეს და თავის ერთმორწმუნე თავადს არ მოსთხოვოს მიწების გადაცემა. ამის ნიშნები უკვე სჩანან: მუსულმან გლეხებში უკვე დაიწყო მოძრაობა, რომელიც ბეგ აღალარების წინააღმდეგ არის მიმართული".

ჯერ ერთი, რომელ მკითხავმა გიკითხავათ, რომ „ქართველ გლეხმა, უკვე მიიღო მიწა", მოლა მასრადინასავით ხომ არ მოგდისთ, სოფელში ფლავს არიგებენო რო დაიძახა, და მერე თითონ დაიჯერა და თეფშით გამოუდგა მირბენალ თანამესოფლეებს? და მეორე, კიდეც რო დაწყებულიყოს თათრის გლეხობის მოძრაობა, ეს ხომ თქვენი განმარტების მიხედვით ქვეყნის ღალატი და რევოლიუციის გამცემლობა იქნებოდა.

თუ, დაგავიწყდათ ი. წერეთლის განცხადება სეიმში?

„სამხედრო ფრონტის მსგავსათ უნდა გავამაგროთ აგრეთვე შინაური დემოკრატიული ფრონტი. არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა სომხის და თათრის დემოკრატიასთან კავშირი, როგორც ეს დღეს არის. მუსულმან და სომეხ გლეხს ისევე აწუხებს უმიწობა, როგორც ქართველ გლეხ-კაცობას. აქ არის ჩვენი ხსნის შესაძლებლობა. შეერთება მთელი დემოკრატიის და სეიმის გარშემო შემოკრება, ყველა ძალების შეკავშირება და ბრძოლისთვის მზადება, —ასეთია მომენტის მოთხოვნილება".

მხოლოდ ახლა გაგახსენდათ თათრის და სომხის დემოკრატია, მთელი წლის განმავლობაში ვისთან იყავით, ვის საქმეს აკეთებდით? ვისი კარნახით გამოეცით მიწის დეკრეტი—დემოკრატიის თუ ხან ბეგების? ჭეშმარიტად, ქვეყნის „ხსნა" კი არა, ათი ბატის ჭუკიც არ მოგებარებათ სამწყსოვად.

* * *

„შეერთება მთელი დემოკრატიის"- ასეთია მომენტის მოთხოვნილება. არ ვიცით, გაზეთს ეგულება თუ არა ლეჩხუმის მაზრაში დემოკრატიული ელემენტები, იმ ლეჩხუმში, რომელმაც არჩევნებზე თითქმის გამოუკლებლივ ხმა პირველ ნომერს მისცა. ახლა ეს მაზრა ალყა შემორტყმულია და შიმშილობის საშინელი აჩრდილის ცელი ეგებ უკვე მკის იქ მდიდარ მოსავალს. და ეს ხდება მენშევიკებისადმი „რწმუნებულ გუბერნიაში" მათივე განკარგულებით. „ერთობა" იეზუიტურათ, სრულიად შეუშფოთებლათ გვარწმუნებს, რომ ყველაფერი ეს ლეჩხუმლების კეთილდღეობისაკენ არის მიმართულიო. აი, როგორც ინკვიზიციის ჯალათი განწირულ მსხვერპლს მიმართავდა სიკვდილის წინ--განსახიერებული მშვენიერება ხარ და შენი ადგილი ზეცაზეა და არა ამ ცოდვილ დედამიწაზეო, და წააგდებინებდა თავს. მოუსმინეთ:

განვიხილოთ კაჩუხოვის მიერ გამოცემული ბრძანება და დავრწმუნდებით, რომ იქ ყოველი ზომა ხალხის კეთილდღეობისკენ არის მიმართული. ამოვშალოთ სიტყვები „კანონს გარეშე" და ყველაფერი ადგილზე დარჩება. რა საჭირო იყო ამ ორი სიტყვის წინააღმდეგ ასეთი განგაშის ატეხა? ჩვენ ვიცით რა საჭირო იყო. კაჩუხაშვილის ბრძანება შორდება ძველი კანონების ჩარჩოებს. ის განზე სტოვებს იმ თექვსმეტ ტომს, რომელსაც ჩვენი მტრები ებღაუჭებიან.

ყოველი რევოლიუციონერი და სოციალისტი კი არა, უბრალო მოკვდავი, რომელსაც ადამიანობის და სინიდისის ნატამალი შერჩენია აღშფოთებულია იმ სისაძაგლით, რომელიც ჩაიდინა „რევოლ. დემოკრატიამ" 10 თებერვალს ალექსანდრეს სახელობის ბაღში. ნიკოლოზის ჯალათებს მაგ. ავაზაკობის მზგავსი არა ჩაუდენია რაო! „ერთობა" კი ამის გამო ხითხითს მოჰყვება—დახეთ ამ გულუბრყვილოებს, ნიკოლოზის კანონებს ებღაუჭებიან! არც ალიხანოვს და არც ტოლმაჩოვს არ გამოუცხადებია მთელი მაზრა კანონს გარეშე, თუმცა თვითმპყრობელობა და მისი კანონები ამის ნებას იძლეოდენო. „ხა, ხა, ხა!" —უპასუხებს „ერთობა"!---რას მიედებ-მოედებიან. განა არ იცით, რომ რევოლიუციის კომისარის კაჩუხოვის ბრძანება, ბ რ-ძ-ა ნ-ე-ბ-ა შორდება ძველი კანონების ჩარჩოებს; ის განზე სტოვებს თექვსმეტ ტომს"!

მკითხველო! განა გული არ აგერევა ასეთ ხალხთან ერთ ჭერს ქვეშ ყოფნა ცოტა ხნითაც რომ მოგიხდეს?

* * *

ბოლშევიზმის რენეგატების გაზ. „ალიონი-"ს მორიგი ნომერი ფინიასავით უყეფს თავის ახალ ბატონის „მტერს" და კიდეც კუდს უქიცინებს მოწყალე ბატონს. დაუგდეთ ყური, როგორ უმასპინძლდება „ბატონ" ბოლშევიკებს:

„უნდა აღინიშნოს, რომ ამიერ კავკასიის მთავრობა ამ უპასუხის მგებლო ბატონების წინააღმდეგ გადამეტებულ ლმობიერობას იჩენს.

უფრო ადრე უნდა დახურულიყო „ბრძოლა„ და „კავკასკი რაბოჩი", რომლებიც შხამსა და ნაღველს ანთხევდნენ ხალხის მოსაწამლავად და ხალხი მოიწამლა კიდეც: აღარ არის ერთი მეორესადმი სიყვარული,—მის ნაცვლად შური-მტრობა და სიძულვილი გამეფდა ძმათა შორის."

და ბოლოს:

„დღეს მართებს შეუბრალებელი სისასტიკე ამიერ-კავკასიის კომისარიატს ავანტიურისტების წინააღმდეგ. კმარა შეცთომები! უკვე დადგა დრო სასტიკი ბრძოლისა, როგორც გარეშე მტრის წინააღმდეგ, აგრეთვე შინაური ავანტიურისტების წინააღმდეგაც. სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უნდა გამოიჩინოს მეტი სისასტიკე უპასუხისმგებლო ბატონების წინააღმდეგ, თორემ გვიანღა იქნება თითზედ კბენანი."

რა გაეწყობა ღირსეულნო! თუმცა გვიან, მაგრამ ჩვენი გაზეთები მაინც დახურეს. თუმცა გვიან, მაგრამ თერთმეტი ჩვენი ამხანაგი მეტეხის ციხეში ჩასვეს და სისხლიც ბლომათ გაალებინეს 10 თებერვალს. მაგრამ გამომძიებელმა და პროკურორმა თითზედაც ბევრი იკბინეს, თითებიც გამოიწოვეს, მარა საბრალმდებელო ოქმი ვერც კი შეთითხნეს. მეტი სისასტიკე ყოფილა მაინც საჭირო და ალბად აწი ციხის კარცერებში უნდა ჩაიკლას ხოლმე ყოველი ბოლშევიკი, ვინც კი ამიერ-კავკასიაში კიდევ ცხვირს გამოჰყოფს. ეროვნულ ციხის უფროსის ადგილზე ხომ არ გიჭირავთ თვალი? ბანკებში და ეროვნულ საბჭოში ალბად მეტი თავისუფალი თბილი ადგილი აღარ მოიპოვება.

## ქუთაისის ოფიცოზი.

ყოველ მთავრობას, თითოეულ გუბერნატორს და ხშირად პოლიციის უფროსსაც გააჩნია თავისი გაზეთი, რომლის მოვალეობაა წამდაუწუმ „ბალე ალა" იძახოს და მოიწონოს და სხვასაც მოაწონოს ყოველი „ბრძანება" თავის აღისა, რაც უნდა აღმაშფოთებელი იყოს ეს ბრძანება. თბილისში ასეთი ოფიცოზის როლს ასრულებს გაზ. „ერთობა", ქუთაისში კი—გაზ. „სოც.-დემოკრატი". მათ ვერაფრით გააკვირვებ და ვერც შეაცვლევინებ გაზეპირებულ დებულებებს. რევოლიუცია, რევოლიუციონური დემოკრატია, რევოლიუციონური კომისარი, რევოლიუციის მონაპოვარი—სხაპასხუპით აურევენ ერთმანეთში, ასნაირათ მიმოხრიან, რომ უსათუოდ გაათეთრონ შავი და თეთრი გააშაონ. იოლათ მიდიან, რაც უნდა მოხდეს ქვეყანაზე, რაც უნდა სისაძაგლე დაატეხონ მაგალითად, მთელი მაზრის მცხოვრებლებს. ოფიციოზები მაინც საალდგომო გუნებაზე არიან, ყოველთვის მათთვის მათი სახელწოდების დღეა. რაც ჩვენს მხარეში ბუდუ მდივანი გამოჩნდა, მას მერე მწარე ოფლი სდის, როგორც რევოლიუციის „მონაპოვართა" დარაჯებს, ისე მათ ლიტერატურულ მესაყვარეებს. არ გაემტყუნებათ, ხშირად იძულებულნი არიან კუდი ამოიძუონ იქაც კი, სადაც მათი ბატონობა უცილო იყო. არ ვამტყუნებ მათ, მათი მდგომარეობა აიძულებს როგორმე მოწინააღმდეგე გაბაწრონ და მყუდრო ადგილი მიუჩინონ. მაგრამ ერთგვარი საზღვარი უნდა არსებობდეს, რომლის გადალახვა შეუწყნარებელი უნდა იყოს, ჩხარის და ზესტაფონის „რევოლიუციონერებისათვისაც" კი. მაგრამ საზღვარი უნიშნოთ წაიშალა. წვრილ ბურჟუაზიულ სიაფთრემ გაშალა ფრთები და ძალადობის სივრცეში ნავარდობს, ხალხის „დიადკობა" დაუჩემებია, ხალხთან დაახლოვების ნებას ვერავის მისცემს. ჯერ ამიერიდან სახელ განთქმული ჩხარის ქონდრის რევოლიუციონერებმა ბუდუ მდივანი გმირულათ დააკავეს და ზესტაფონში გააგზავნეს ორმოცი ცხენოსანი მილიციონერის თანხლებით. იქ გაასამართლეს „დამნაშავე" მისდა დაუკითხავათ და რევოლიუციის სახელით გადაასახლეს შორაპნის მაზრიდან. ახლა სამეგრელოში დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს სამი თვის ვადით. მოიცილეს საშიში მოწინააღმდეგე, სამი თვით მაინც თავისუფლად სუნთქვას ეპირებიან. მაგრამ „რევოლიუციის მონაპოვარი" თავისუფლების ჩაქოლვა „დასაბუთებას" მოითხოვს და „სოც.-დემოკრატიც„ დრო გამოშვებით ღეჭავს „საბუთებს", უკანასკნელ ნომერში ვინმე ფ—ლი მეცნიერულათ ეხება საკითხს და თავის ღრმა აზრებს გვიზიარებს. ის სწერს:

ჩვენ გულწრფელად ვამბობთ: არსად არ გვინახავს ბ. მდივნისთანა კაცი, რომელსაც არაფერი არ აინტერესებს, გარდა პირად გამარჯვებისა, ამა თუ იმ კრებაზე, როგორც ასეთი, ბუდუ მდივანი ჭეშმარიტათ, არაჩვეულებრივი პიროვნებაა. თეთრი შავათ მოაჩვენოს საზოგადოებას. მოურიდებლათ, უსინდისოთ იცრუე, ყველაფერი ააფორიაქებინე, ოღონდ ტაში დაიმსახურე—აი ლოზუნგი ბუდუ მდივნისა სიტყვის თავისუფლებას ბ. მდივანი მთელი თავისი სიგრძე სიგანით ამ ლოზუნგისთვის სარგებლობს.

მერე ასეთმა მოწინააღმდეგემ შეგაშინათ ვაჟბატონებო და მოსვენება დაგიკარგათ? „ცრუ და ტაშის მოყვარულ" ბუდუს ვერ შეებრძოლეთ სხვა საშუალებით და ციხის კამერა გაანიავებიეთ მის ჩასაკეტათ?

ბუდუს პარტია ამ დღეს საერთო სასაცილოთ იყო აგდებული კრების დიდი უმრავლესობის მიერ. იმავე საღამოს სხვათა შორის სამხ. შტაბის კრებაზე დაისვა ბ. მდივნის გამოსვლის და დადგენილ იქნა: ვინაიდან ბ. მდივანის გამოსვლები მილიტარისტურია და იგი არღვევს დადგენილებას მობილიზაციის ჩაშლის ცდით, იგი დატყვევებულ იქნას და წარდგენილ იქნას გუბ. კომისართან. 8 მარტს ეს დადგენილება სისრულეში მოიყვანეს, რამაც მცხოვრებთა შეგნებული ნაწილი ძლიერ დააკმაყოფილა.

ბუდუს პარტია სასაცილოთ იყო აგდებული, მაგრამ „სამხედრო შტაბი" მაინც მობილიზაციის ახდენს ბუდუს დასატყვევებლათ, რამაც მცხოვრებთა შეგნებული ნაწილი „ძლიერ დააკმაყოფილა." ვინა სთქვა, ჩვენში რევოლიუცია არ ყოფილაო? რევოლიუციონური სამხედრო შტაბი, დატყვევება, ხალხის ურას ძახილი და ოფიცოზის ფურცლებზე ზეიმი და სიხარული!

ჩვენისთანა ბედნიერი არის კიდევ სადმე ერი? ვის ეყოლება ასეთი მარგალიტი სოციალ-დემოკრატები, როგორც ეს ჩვენ? ვის აქვს ბედნიერება ჩვენსავით მენშევიკების დიქტატურას ქვეშ ყოფნისა?

## გურიის კომიტეტი

გურიაში მომქმედ სხვადასხვა პარტიებმა გადასწყვიტეს შეადგინონ რევოლიუციისა და სამშობლოს დაცვის გურიის კომიტეტი.

ხსენებული კომიტეტი სამხედრო საქმეში გურიის საზღვრებში უზენაესი უფლებით არის აღჭურვილი და მას ევალება სამხედრო ძალების სრული მობილიზაციის მოხდენა და შიგნით რევოლიუციონური წეს-რიგის დაცვა. მას ემორჩილება: წითელი გვარდია, მილიცია და გურიის ყველა აღმასრულებელი კომიტეტი ორგანოები. კომიტეტი 2 მარტიდან უკვე შეუდგა მოქმედებას და ვისაც სწამს რევოლიუცია და სამშობლოს კეთილდღეობა მოუწოდებს დაემორჩილოს კომიტეტის განკარგულებას:

1) არავის ნება არ აქვს სიტყვიერი თუ წერილობითი პროპაგანდა—აგიტაციით თავდაცვის საწინააღმდეგო აგიტაცია გასწიოს; ან დაგმოს თავდაცვის კომიტეტის, სეიმის და კომისარიატების განკარგულება.

2) ყველა მოქალაქე, ვისაც კი შეუძლია იარაღის ტარება, ვალდებულია იარაღით ხელში, თუ აქვს და თუ არ აქვს მაინც დაუყონებლივ გამოცხადდეს, სადაც მოუწოდებენ.

3) რევოლიუციისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის საჭიროა მოხდეს, როგორც იარაღით მებრძოლთა მობილიზაცია, აგრეთვე იარაღებისა, ამიტომ ვინც მოღალატე არ არის რევოლიუციისა და სამშობლოს, ვალდებულია დაუყონებლივ ჩაეწეროს ჯარის რომელიმე ნაწილში,

როგორც არის: ნამდვილი ჯარისკაცი, წითელი გვარდია, მილიცია, მოხალისე, მას კი, ვისაც იარაღი აქვს დასხენებულ ნაწილებში არ ჩაეწერება წინადადება ეძლევათ თავის ნებით იარაღი ჩააბაროს ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანიზაციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღი ძალით ჩამოერთმევათ და გარდა სასტიკი გაკიცხვისა დაისჯებიან ციხეში ჩასმით 3—6 თვემდე და ვინც იარაღს გადამალავს, ის კიდევ სასტიკათ დაისჯება.

4) მარტო ის, ვისაც უწევს ნამდვილი ჯარისკაცობა და ხუთ მარტამდე არ ჩაეწერება, გამოცხადდება მოღალატე—დეზერტირათ და მთელის ულმობელი და უსასტიკესი სასჯელი: აეყრება მოქალაქის ყოველივე უფლება და საუკუნოთ განიდევნება სამშობლოს საზღვრებიდან.

5) დედა-კაცებს მოუწოდებთ ხელი შეუწყონ რევოლიუციისა და სამშობლოს დაცვას, ამიტომ ისინი უნდა ჩაეწერონ სანიტარულ დებათ და მასთან გაამხნეონ მამაკაცები ბრძოლის ველზე წასასვლელად. მასთან ყოველივე ღონისძიებით ებრძოლონ ლაჩრულ საქციელს და მშიშრობას.

6) ყველა მოქალაქე ვალდებულია არ გაავრცელოს შეუმოწმებელი ხმები, რომელიც გამოიწვევს ხალხის ძრწოლას.

7) სამხედრო წესის მიხედვით დაისჯება ის, ვისაც დაუმტკიცდება მტერთან რაიმე კავშირი.

8) ვისაც ჰყავს ეტლი, დილიჟანსი, ლინეიკა, ავტომობილი, ცხენი, ჯორი, ვირი და ხარი ყველა ვალდებულია სამხედრო საჭიროებისათვის პირველ მოთხოვნაზე წარმოადგინოს და ვინც გადამალავს, მას უფასოთ ჩამოერთმევა და კიდევ დაისჯება.

9) ყველა ის სავალდებულო დადგენილებანი, რომლებიც გამოცემულნი იყო ტფილისის აღმასრულებელ ორგანიზაციებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ რჩება ძალაში.

ვინც არ დაემორჩილება ზემოთ ჩამოთვლილ სავალდებულო წესებს, დასჯილ იქნება სამხედრო წესის მიხედვით, მათ გაასამართლებენ საჯარო გაკიცხვით ან სამხედრო ტრიბუნალის მიერ დაპატიმრებულ იქნებიან 3—6 თვემდე და შეიძლება დაისაჯოს სამშობლოდან საუკუნო განდევნითაც.

ამ კომიტეტმა უკვე გამოსცა მოწოდება ქართველი ერისადმი, რომლითაც მოუწოდებს ყველას შეიარაღდეს და გურულებს ამოუდგეს გვერდში ფრონტის დასაცავათ. („ერთობა“)

# ქრონიკა.

✦ კავკავი უკვე აიღეს ბოლშევიკებმა.

ქუთ. ევრ. ტან. მკერ. პროფესიონალური კავშირის გამგეობა აცხადებს კავკასიის ყველა მკერავ კავშირების საყურადღებოთ, რომ ქუთაისის სამკერვალო სანებლიძის ქარხნის მუშამ გრიგორ მანდარისძე შახრიანცმა გაიტაცა ამ სახელოსნოდან თოთხმეტი ათასი მანეთის სალირალი „ზაკაზები“ (მუშტრების) გთხოვთ ყველა მუშებს მიიღოთ ენერგიული ზომები მის აღმოსაჩენათ, რათა ჩირქს სცხებს მთელ მუშათა კლას ასეთი ნაძირალა. კავშირის გამგეობა.

✦ გაზ. „ვოზროჟდენიეს“ გამოსვლა. სამშაბათიდან, მარტის 13-იდან ამიერ-კავკასიის მთავრობის ნებართვით კვლავ გამოვა გაზეთი „ვოზროჟდენიე“, რომელიც დახურული იყო ალექსანდრეს სახელობის ბაღში თებერვლის 10 მომხდარ სროლის შესახებ მოთავსებულ პატარა ფელეტონისათვის. („საქართვ.“)

✦ აქაურ ფედერ. პარტიამ ლაილაშიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: ლეჩხუმის მაზრაში მშვიდობიანობაა. ექსცესებს იმ სამწუხარო ამბის გარდა, რომ ლ. დადეშკელიანი მოკლეს, ადგილი არ ქონია. საჭიროა ინტერპარტიული კომისია საქმეთა გამოსარკვევად.

✦ გაზ. „სოც. დემ.“ ცნობით ბათუმიდან, ქუთაისში ჩამოიყვანეს ბოლშევიკი გრ. მახარაძე, რომელიც საგუბერნიო ციხეში მოათავსეს. მახარაძე დატუსაღებულია ბათუმის ციხის კომენდანტის განკარგულებით.

✦ ამიერ-კავკ. ჯარების მთავარ-სარდალმა, გენ. ლებედინსკიმ მიმართა ჯარს ბრძანებით, რომელიც ასე თავდება: ვუბრძანებ: 1) ყველა ჯარის ნაწილებში შემოღებულ იქნას სასტიკი სამხედრო დისციპლინა. ამ დისციპლინის განსახორციელებლათ სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული. ვინც ამ დისციპლინას დაარღვევს, ვინც უნდა იყოს, სამხედრო სამართალში უნდა მისცენ; ფრიად საგანგებო შემთხვევაში კი—რევოლიუციონურ ტრიბუნალს. არას შემთხვევაში დაშვებული არ იქნეს უფროსების განკარგულების შესახებ მსჯელობა, ნამეტურ სამხედრო მოქმედების შესახებ ბრძანება უსიტყვოთ შესრულებული უნდა იქნეს;

2) დაუყონებლივ შეუდგენ სამხედრო მაცადინეობას და შეასწავლონ ჯარის-კაცებს ყველა, და მხოლოდ ის, რაც საჭიროა ომის დროს...

3) უფროსებს და აფიცრებს ვუბძანებ აუხსნან ჯარის-კაცებს არსებული კრიტიკული მდგომარეობა და თავის მოქმედებით და მაგალითით უჩვენონ მათ, რათა აღადგინონ ჯარის-კაცთა მასსაში დაცემული პრესტიჟი, რომ გაჭირვების დროს ნდობით და სიტყვის შეუბრუნებლათ მიყვებოდენ აფიცრებს ბრძოლის დროს.

4) ფრონტზე მდგომ ჯარის ნაწილებს ვუბრძანებ სინიდისიერათ და სასტიკათ აასრულონ თავიანთი სამსახური, რადგან მცირე დაუდევრობასაც კი ძლიერ ცუდი შედეგი მოჰყვება, რის მაგალითიც არზრუმი არის;

5) იმ დაწესებულებებს, რომელმაც ჯარს უნდა მიაწოდოს საჭირო სანოვაგე და სხვა, ვუბრძანებ მიიღონ ყველა ზომები, რომ ჯარს დროზე მიაწოდონ კუთვნილი სურსათი და მასალა;

6) რადგან ამიერ-კავკასია სურსათის, ფულის, საომარი მასალების და ტანთსაცმელის მხრივ ძალზე გამოფიტულია, ვუბრძანებ ათი დღის განმავლობაში ლიკვიდაცია უქნან დაშლილ ჯარების ყველა შტაბებს, დაწესებულებებს, კომანდებს და სხვ., და 15 მარტიდან შეუწყვიტონ სურსათის და სხვა მასალის მიწოდება;

7) ყველა ჩემქვეით უფროსებს ვუბრძანებ სასტიკათ ადევნონ თვალყური ამ ბრძანების ასრულებას.

ყიდა ცნობა რომ ისპანიაში გაფიცვებია. ყველაზე უფრო ძლიერია სატახტო ქალაქ მადრიდში.

### გაფიცვები საფრანგეთში.

15 იანვრიდან 20-დე გრძელდებოდა მუშების საყოველთაო გაფიცვა თავდაცვის ქარხნებში ქალ. რუანში (საფრანგეთშია) გაფიცვები გამოწვეული იყო სიძვირით და საერთო უკმაყოფილებით, რომელიც იხატებოდა მუშათა შორის გავრცელებულ ფურცლებში.

### შვედელ სოციალისტის პასუხისგებაში მიცემა.

სტოკჰოლმი, 16 მარტ. შვედელ მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ცნობილი ლიდერი ჰეგლუნდი პასუხისგებაში მისცეს, გაზ. „პოლიტიკენ“-ში გერმანელ მთავრობის წინააღმდეგ წერილის მოთავსებისთვის.

### საზღვარგარეთელი ბიურო სტოკჰოლმში.

სტოკჰოლმი, 21 მარტი. (ა. ს.) პეტროგრადის ტელეგრაფის სააგენტომ გაიჩინა აქ, ბიურო საზღვარგარეთელი ინფორმაციისათვის. ბიუროს უკვე ყავს კორესპონდენტები ევროპის გამოჩენილ ცენტრებში. ზომებია მიღებული გააბან კავშირი ევროპის და ამერიკის იმ ცენტრებთან, რომლებიც არ არიან ჯერ კიდევ შეერთებული ბიუროსთან. სამუშაოთ მოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტი-ინტერნაციონალისტები.

# რევოლიუციონური რუსეთი

საოლქო ცენტრს მოუვიდა დეპეშა ამ. კავკ. კომისარიატის ყოფილ სამხედრო კომისარ დონსკოისაგან. დეპეშა გამოგზავნილია პეტროგრადიდან 7 ამ თვეს. ასე რომ პეტროგრადის აღების ამბავი ჯერჯერობით გამოგონილი ზღაპარია, და განგებ შეთხზული. სახალხო კომისრების ჩასაქოლავად დონსკოი, რასაკვირველია, იტყობინება, რომ პეტროგრადსა და მოსკოვში ფართო მასსის სულისგანწყობილება უკეთესდება, მუშათა მასსა „გონს მოდის,“ „ბოლშევიკებს შორდება“ და „დამოუკიდებლათ ირაზმება“ (მაშ მენშევიკების და ეს-ერების პარტიებს საუკუნოთ განუსვენებიათ წიაღსა შინა აბრამისა!) სხვათა შორის დონსკოი იტყობინება, რომ ზოგიერთი გამოჩენილი სახალხო კომისარი აცხადებს, რომ „ყოველგვარად დაეხმარებიან ამიერ კავკასიას, თუ ის იარაღით ხელში გამოვა თავის ტერიტორიის დასაცავად.“

საოლქო ცენტრის რეზოლიუცია.

9 მარტის სხდომაზე ცენტრმა დაადგინა: „საოლქო ცენტრი მოუწოდებს ამ.-კავკ. დემოკრატიას ყოველი ღონისძიებით ამ.-კავკასიის საზღვრების დასაცავად. ამიტომ წინადადებას აძლევს მთავრობას: გაიწვიოს ჯარში 25 წლიანებზე უფროსებიც, უზრუნველჰყოს სრული წესიერება შიგნით, კერძო პირების იარაღს რეკვიზიცია უქნას, გააძლიეროს კონტრ-დაზვერვა, შემოიღოს სამხედრო ცენზურა, დაადგინოს ჯარში სასტიკი დისციპლინა და თავის მოქმედების უმთავრეს საგნად გაიხადოს ქვეყნის და რევოლიუციის დაცვა.“

სამხედრო ცენზურის, კონტრ-დაზვერვის და სასტიკ დისციპლინის შემოღებაზე სული მიდიოდათ მენშევიკების ჟურნალისტებს-ლომთათიძეს და არსენიძეს.

## სახალხო საბჭოს კომისარების დადგენილებანი.

ახალი მონოპოლიები.

პეტროგრადი 23 თებერვალი. შემოღებულია სახელმწიფო მონოპოლია სპიჩკაზე, სანთელზე, ბრინჯზე, ყავაზე და სხვ. ნაციონალიზაციის განხორციელება ევალება სრულიად რუსეთის მომხმარებელ საზოგადოებათა საბჭოს (ცენტროსოიუზი) მოსკოვში.

ყველა სპიჩკის და სანთლის ქარხნები და ფაბრიკები ვალდებული არიან განაგრძონ მუშაობა სანამ ახალ განკარგულებას არ მოახდენს „ცენტროსოიუზი“.

— პეტროგრადი 23 თებერვ. წერილები რომელიც ამხ წითელ-გვარდიელების სახელზე უმარკოთ იგზავნება, კონვერტზე უნდა იქნეს შემდეგი წარწერა: „წითელი მომქმედი ჯარი“.

— პეტროგრადი 23 თებერ ალი. პოჩტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი, რომელნიც განუწყვეტელ სახელმწიფო სამსახურს ეწევიან, არ ექვემდებარებიან საყოველთაო შრომის ბეგარას, და ასრულებენ მხოლოდ იმას, რასაც ავალებთ თავის სამსახური. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი.

პეტროგრადი 23 თებერვალი. ვიღებთ რა ხელში ბალტიის ფლოტის მართვა გამგეობას 3 მარტიდან, წინადადებას ვაძლევთ „ცენტროფლოტს“ სამი დღის განმავლობაში ჩააბაროს კომისართა საბჭოს ყოველივე საქმე და გაანთავისუფლოს დაკავებული შენობა

## საზღვარ-გარეთ.

გაფიცვები ისპანიაში.

პეტროგრადი. პეტროგრადში მო-

# სახელმწიფო სესხის გაბათილება.

სახელმწიფო სესხი, რომელიც მეფისა და ბურჟუაზიის მთავრობებმა აიღეს, ბათილდება. ბათილდება პროცენტების გადახდა, როგორც შინაურ ისე გარეულ სესხზე.

რუსეთის სახელმწიფო სესხი ომის დროს უდრის 40 მილიარდ მანეთს რომ რამდენიმეთ წარმოვიდგინოთ ეს უშველებელი ციფრი უნდა გავიხსენოთ, რომ რუსეთის მემამულეების მიწები ფასობდა მხოლოდ 6 მილიარდი. მარტო პროცენტები იყო გადასახადი 3 მილიარდი, ე. ი. იმდენი რამდენიც იხარჯებოდა სხვა ყველა სახელმწიფო საჭიროებისთვის. ომამდი. საზღვარ გარეთ სესხს იღებდენ საზოგადოთ უფრო ვალიუტებით, რომელის კურსმა ამ ბოლო დროს ძლიერ აიწია. პროცენტების გადახდა, მაგალითად, იმ სესხზე რომელიც პარიჟის ბირჟაზეა აღებული, აუცილებელია ფრანკებიც ამნაირათ, როდესაც ვანგარიშობთ პროცენტების ჯამს სესხზე, სახეში უდგა გვქონდეს კურსი და გადასახადი გავადიდოთ სამჯერ ოთხჯერ-ხუთჯერ რაც უნდა დიდი აწევს ხალხს, ის მაინც ვერ გაუძლებდა ამდენ სესხს; ყოველ წლიური ალბათ შემოსავალი მოუნდებოდა აქციების პატრონებს პროცენტების სახით.

უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ქალაქის და სოფლის მცხოვრებნი ნელა მიდიოდა გადაგვარების გზაზე. ყოველ წლით, მშვიდობიანობის დროსაც კი, ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა უვარგისი ნაწილი მატულობდა. თითქმის ნახევარი წილი 21 წლიან ახალგაზრდობას ფიზიკურათ არა განვითარებულათ ითვლებიან და ამიტომ ჯარში არ გაყავდათ. ხალხი მაშინაც ნახევრათ მშიერი რჩებოდა. ის პური, რომელიც გერმანიაში გაქონდათ, ეკუთნოდა

ღარიბ გლეხობას, რომელიც იძულებული იყო გადასახადებისთვის გაეყიდა ყველაფერი. ყოველ შემოდგომაზე, გადასახადების აკრეფის დროს, გლეხი იძულებული იყო ნახევარ ფასათ გაეყიდა პური ბაზარზე. პროფესორ ოზეროვის გამოანგარიშებით, რომელიმე კუთხის 90 წლ. ბოლოს და 900 წლ. დასაწყისს, რუსეთში თითო სულზე მოდიოდა 22,4 ფუთი პური და კართოფილი; გერმანიაში—კი 24,2 ფუთი. სათესურისა და გასატანის გამოკლებით რუსეთში სულზე იხარჯებოდა 18,8 ფუთი, მაშინ როდესაც გერმანიაში, ჩვენგან გატანის შემდეგ, იხარჯებოდა სულზე 27,8 ფ. საშვალოთ გერმანელი ერთნახევარჯერ მეტს ჭამდა ვიდრე რუსი არა სიმდიდრე, არამედ სიღარიბე გვაიძულებდა პურის საზღვარგარეთ გატანას. ჩვენ ყოველთვის უნდა გაგვემაგრებია გადასახადის ბალანსი (разсчетный баланс), რომელიც მაშინ ძლიერ აეიწროებდა ჩვენ სახალხო მეურნეობას.

ომის შემდეგ, კოლოსალურ პროცენტების გადახდა სესხზე, გაათკეცებდა რამდენი საქონლის გატანას საზღვარ გარეთ. მაგრამ, რადგან ჩვენ საზღვარ-გარეთ გასატანი არაფერი მოგვეძევა, ამიტომ ჩვენ პურს სულ უცხოელები წაიღებენ.

ზავის ჩამოგდების შემდეგ პურის ფასი რუსეთში კიდევ უფრო აიწევდა, მაშინ როდესაც ჩვენ მოკავშირე—ინგლისსა და საფრანგეთში პურის ფასი დაიწევდა შიმშილობა დიდხანს გატანდა. გლეხი იძულებული იქნება კვლავინდებურად კართოფილით დაკმაყოფილებულიყო ქალაქის მცხოვრებნი კი სურათებით მიეღოს პური. რომ სახალხო კომისარებს ძალაში დაეტოვებიათ ძველ მთავრობათა ხელშეკრულობა ბურჟუაზიასთან, რუსეთი მთელი წლების განმავლობაში უპუროთ უნდა დარჩენილიყო და ამიტომ ხალხი ფიზიკურ გადაგვარების გზას დადგომოდა.

სახელმწიფო იძულებული იქნებოდა შეეწყვიტა ყოველგვარი კულტურული მუშაობა არამც თუ არ შეიძლებოდა საყოველთაო სწავლის განხორციელება, იძულებული ვიქნებოდით შეგვემცირებია ჯამაგირი მოხელეებიზა, ფოშტა ტელეგრაფის მოსამსახურეებიზა, რკინის გზის მოსამსახურეებიზა; სახელმწიფო ქარხნების მუშებიზა. თავი უნდა დაგვენებებია არა მარტო მუნიციპალურ მშენობლობისათვის არამედ ახალ რკინისგზების და შოსეების გაყვანისათვის, ელექტრონის აშენებისათვის, რაც დამღუპველ გავლენას იქონიებს სასოფლო მეურნეობაზეც. ერთი სიტყვით სესხის გადახდა სრულიად შეაჩერებდა ქვეყნის კულტურულ და ეკონომიურ მაჯის ცემას.

რაც უნდა დიდი გადასახადები გაეღო ხალხს ის მაინც ვერ დააკმაყოფილებდა მოკავშირეებს. საჭირო შეიქნებოდა ახალი სესხის აღება. ომის შემდეგ, როდესაც მოკავშირეებს საჭიროება არ ექნებოდათ ჩვენ „შტიკებში", რეალური გარანტია თუ არ იქნებოდა ისე სესხს არ მოგცემდა. საერთაშორისო ბაზარზე ჩვენი „კრედიტი" ოსმალეთის ან ჩინეთისას არ აცილდებოდა ჩვენ მოგვეთხოვდნენ ტამოჟნების, კონცესიების და სხვ. მათ ხელში გადასვლას, და ასე დაიტაცებდენ ხალხის ქონებას. საერთაშორისო კაპიტალთან კონფლიკტი რუსეთისთვის მაინც აუცილებელი იყო. ახლა კი, როდესაც სახალხო კომისართა საბჭომ რევოლიუციონური გზით გააბათილა სესხი, რუსეთის ხალხი ძლიერ მოკავშირეს იძენს საერთაშორისო პროლეტარიატის სახით.

(დასასრული იქნება)

## პარტიის ცხოვრებიდან.

მოისმინა რა მოხსენება ამხ. ბუდუ მდივანის და ა. გეგეჭკორის დაპატიმრების შესახებ, საზოგადო კრება ქუთ. ორგანიზაციის რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტ. (ბოლშევიკებისა) ზიზღს უცხადებს მოძალადეებს. რომლებმაც სოციალისტების დევნაში შორს დატოვეს ძველი რეჟიმის ჟანდარმებიც კი. მოვითხოვთ ამხანაგების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. მათი დაპატიმრება მენშევიკების პარტიის მორიგი უსინიდისობაა, მათ არ შეუძლიათ იდეურათ შეებრძოლონ თავის კონტრ-რევოლიუციონურ პოლიტიკის კრიტიკას; წყალ-წაღებულები, თავის პოლიტიკის აშკარა სიკვდილის მაყურებელნი, ისინი გაუგონარი რეპრესიებით, იდეური მოპირდაპირეების დატყვევებით და დამსჯელი რაზმების შემწეობით ცდილობენ თავის არსებობის გახანგრძლივებას

კრება მოუწოდებს ამხანაგ მუშებს, გლეხებს და ჯარის კაცებს პროტესტით პასუხი გასცენ მენშევიკების ძალადობას და მოითხოვონ ციხეში ჩაყრილ ამხანაგების გათავისუფლება.

ქუთ. ორგანიზ. რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიისა (ბოლშევიკების).

## სალამი ამხ. ბუდუ მდივანს

სალამს ვუძღვნით შეუპოვარს და სიმართლისათვის დაპატიმრებულ, მუშების და გლეხების ინტერესების დამცველს ამხ. ბუდუ მდივანს. მის დაპატიმრებამ ერთხელ კიდევ დაანახა სოფლის მუშას, გლეხს; ვინ არის მუშის მტერი და ვინ ლაპარაკის ნებას არ აძლევს მათ მოამაგეს. დადგება მალე დრო და სამართლიან პასუხს გაგცემთ ჩვენს მტრებს, გაიძახის სოფლის მუშა. სუჯუნაში მიტინგს დაესწრო დიდძალი ხალხი; სკოლა გაჭედილი იყო, აივანზედაც აღარ ეტეოდენ. ბუდუს სიტყვებმა ხალხი აღაფრთოვანა გაისმა მქუხარე ტაშისცემა. მის წინააღმდეგ გამოვიდენ ალ. გიმსახურდია, მასწავლ. ქამუშაძე (ს. ფ.) ძველაია (ს. დ. მენშევიკი) და კიდევ სხვები. ბუდუს საპასუხო სიტყვას ხალხი კვლავ აღფრთოვანებით შეხვდა. მეორე დღეს გავიგეთ ბუდუს შეპყრობის ამბავი. რასაკვირველია მას ეს ვერ შეაშინებს, ხალხი კი ნათლად ხედავს და არჩევს მტერს მოყვრისაგან.

გაუმარჯოს ბუდუს და მის საქმეს! ძირს ყველა ჯურის რეაქციონერები!

სუჯუნის ამხანაგების მონდობილებით

ქ. ნოდია.

## მუშათა ცხოვრებიდან

### ცენტრალურ კავშირის სხდომა

10 მარტს კამერის ბინაზე მოხდა ცენტრ. კავშირის სხდომა თავმჯდომარეობს ტრიფონ სალაია. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი 1) ბინის საკითხი 2) ლამბაშიძის (წითელ გვარდიელის) დასაფლავება. 3) მუდმივი მდივანი ც. კავშირისთვის 4) შრომის კომისარი 5) ც. კავშირისთვის პროცენტების აკრეფა კავშირებიდან.

ბინის შესახებ აკეთებს მოხსენების ტრ. სალ, აღნიშნავს უბინობის გამო მუშათა ორგანიზაციების კრიტიკულ მდგომარეობას და მოუწოდებს ამხანაგებს გამოთქვან თავისი აზრი. იხსნება კამათი ყოველ ამხანაგები აღნიშნავენ რომ აუცილებლათ ერთ ალაგას უნდა იყოს ყველა მუშათა ორგანიზაციები და ისეთი შენობა მხოლოთ ერთია ქუთაისში. რის შემდეგ გამოიტანეს შემდეგი დადგენილება „მიეცეს მუშათა საბჭოს განცხადება რომ კავშირთა კავშირი გამოსთქვამს აუცილებელ საჭიროებას ყველა მუშათა ორგანიზაციები ერთ შენობაში მოთავსებისას. და მუშათა საბჭომ იშოვოს ის ალაგი და თუ იგი არ ეცთება მაშინ კავშირები გადავიდეს აქედან მიღებული იქმნა ერთ ხმათ.

ლამბაშიძის დასაფლავებაზე აკეთებს მოხსენებას შაქრო კურდღელაშვილი აღნიშნავს მათი ოჯახის უმწეო მდგომარეობას, კითხულობს დასაფლავებაზე გაწეულ ხარჯებს. სულ 460 მანეთია, რომელიც დაუხარჯია ზოგიერთ პროფესიონალურ კავშირებს და მოითხოვს გამონახოს სხდომამ რაიმე წყარო, რომ დაფარულ იქმნას ხარჯები და დახმარება ექმნას მათ ოჯახს. კამათი იხსნება: ორი აზრი გამოითქმის 1) გუბ. კომისარს მივმართოთ და ეგ ხარჯი დაფაროს სახელმწიფო დაწესებულებებმა 2) ეს ხარჯი გადაიხადოს მუშათა ორგანიზაციებმა. თავმჯდომარე კამათს წყვეტს და აცხადებს 1) ჩვენ გვაქვს ცნობები რომ ამ ხარჯს დააკმაყოფილებს სახელმწიფო დაწესებულებები. 2) მხოლოთ ჩვენ გვინდა კიდევ ამ ოჯახისთვის ერთდროული დახმარება. ამისთვის ეცნობოს გუბ. კომისარს მიიღოს ზომები ხარჯების დასაფარავათ და ერთდროული დახმარებისთვის იზრუნოს ც. კავშირის პრეზიდიუმმა ეს წინადადება მიღებული იქმნა ერთ ხმათ.

მუდმივი მდივანი ცენტრ. კავშირისთვის წამოაყენეს ერთი გამოცდილი პიროვნება შ. დ. ამისთვის გამოთქვა სხდომამ მიეცეს წინადადება ყველა ორგანიზაციებს ეს კაცი დაგვითმონ ც. კავ. ვინაიდან აქ იყრის მთელი ქუთაისის მუშები თავს. კრება ღებულობს უკამათოთ.

შრომის კომისარზე ტ. ს. აცხადებს ამაზე მოხსენება უდა გაეკეთებია გ. ტუს. მაგრამ რადგან ის არ არის, ამისთვის ჩვენ არა გვაქვს მასალები. ი. გეგეჭკორი.—შრომის კომისარზე ჩვენ უნდა გამოვიტანოთ ერთგვარი დადგენილება ვინაიდან საჭირო არის დღეს ჩვენთვის შრომის კომისარი არსებობს და მოუწყობელია. ამისათვის ც. კავშირმა მისცეს წინადადება დაუყონებლივ მოაწყოს. სხდომა იღებს გამანცხადებს უცვლელათ.

პროცენტების აკრებაზე კავშირებიდან სხდომამ დაადგინა ყველა კავშირებმა წარმოადგინოს გასულ წლის ანგარიში და შემდეგ აკრიფოს მოლარემ ოთხ შაბათ საღამომდი მორიგი სხდომა გადაიდვა შაბათისათვის.

მუშა წამებულიძე.

## ო ქ მ ი.

1918 წ. მარტს 6 დღეს შესდგა ყოფილ ჯარისკაცთა კრება 15 საზოგადოებიდან დაბა ძველ-სენაკში. იქნა ამორჩეული თავმჯდომარეთ ერ. ჩიქობავა. მდივანათ ვლად. თურქია

გააკეთა მოხსენება ვლ. თურქიამ რომელიც იყო გაგზავნილი სენაკის საზოგადოების ჯარის კაცებიდან მანძის საზოგადოებაში 1) ერთხმათ იქნა მიღებული დადგენილება: დღეიდან სრულიათ გაუქმდეს აღმასრულებელი კომიტეტები და ყოველი მისი ფუნქციები გადაეცეს დაარსებულ მშრომელ ხალხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს. 2) მობილიზაციის შესახებ ერთხმად გადავწყვიტეთ, შესდგეს რევოლიუციონური გვარდია მოხალისეებსაგან არა მარტო 19—25 წლამდის არამედ 50-მდის, თუ რევოლიუციას საფრთხე მოელის კონტრრევოლიუციონერებისაგან და დღევანდელი კომისარიატის დეკრეტს მობილიზაციისას 19—25 წ. მარტო არ ვცნობთ კანონიერად.

3) სრულ ნდობას ვუცხადებთ რუსეთის მუშათა სალდათთა და გლეხთა საბჭოების მთავრობას და მასთან შეთანხმებით შეერთებულ მტრის დაქერას.

4) მოვითხოვთ დაუყონებლივ წითელ გვარდიის გაუქმებას რადგანაც ორი ძმათა შუა არის შეუფერებელი განხეთქილება და არა სასურველი მოვლენები, რის გამო რევოლიუციას საფრთხე მოელის, ხოლო ჩამორთმეული იარაღი გადაეცეს ადგილობრივ დაარსებულ საბჭოებს.

5) იარაღი ჩამორთმევის თაობაზე ერთხმად დავადგინეთ შემდეგი: ჯარის კაცებს რომელიც საბჭოს მიერ ნდობით იქნება აღჭურვილი მიეცეს იარაღი და ის პირნი რომელიც იარაღით ხელში მავნეა რევოლიუციისთვის, ჩამოერთვას და გადაეცეს ადგილობრივ საბჭოს.

6) ადგილობრივი ვაჭრობა მრეწველობის შესახებ იქნა ერთხმად დადგენილი: იმ ვაჭარს რომელიც ... ნება ცნობილი და ნდობით აღჭურვილი საზოგადოებიდან მიეცეს ნება მხოლოდ საბჭოს ზედამხედველობით; რაც შეეხება ღვინით მოვაჭრეთ, მიეცეს ნება ზომიერ გაცემისა და ... ვინც სიმთვრალეში დაარღვევს წესრიგს ... რებას-ღვინით მოვაჭრე ზედ მეტ გაცემისათვის და პიროვნება ზედმეტი დალევისათვის იხდიან საბჭოს სასარგებლოთ 50 მან.

7) რადგანაც დღემდის მოსულ ჯარის კაცებს ვერ შესძლებიათ ... არსება ადგილობრივი საბჭოსი, დღეს ერთხმად გადავწყვიტეთ, იქნას ... არსებული დაბა ძველ სენაკში ... ონულ მუშათა ჯარის კაცთა ... გლეხთა საბჭო და ავირჩიეთ ამა საბჭოს აღმასრულებელი პირნი 5 ჯარის კაცი და ოთხი გლეხების მხრით ... დღეს გლეხთა არჩევნები ვერ შესდგა, ხოლო სალდათებს მხრივ არჩეული პირნი: პლატონ ქავთარაძე, ვლადიმერ თურქია, ერმინე ჩიქობავა, სარდიონ ქავთარაძე, ვლადიმერ ფაჩუაშვილი, რომლებიც დღეიდან დავალდებულეთ და მივანდეთ ყოველივე საქმის გამგეობა იქნა აგრეთვე არჩეული ორი კაცი სარწმუნო ცნობების მოსაკრებათ საიდანაც ჯა... არის.

თავმჯდომარე ერმინე ჩიქობავა.

მდივანი ვლადიმერ თურქია

სოფ. ძველი სენაკი.

რედაქცია—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—ქუთაისის ამიერ-კავ.
ორგანიზაციის კომიტეტი.